აჭარის რეგიონის სათამაშო ბიზნესის სტატისტიკური ანალიზი

2023 წელს ბათუმის ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავლმა შეადგინა 62.1 მილიონი ლარი, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 50%-ით აღემატება. ბათუმის ბიუჯეტში ჩარიცხული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ძირითადი ნაწილი (85%) სამორინეებიდან არის მიღებული, სათამაშო ბიზნესის სხვა ტიპის სუბიექტებზე მოსაკრებლების მხოლოდ 15% მოდის.

ბათუმის ბიუჯეტში ჩარიცხული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სტრუქტურა (2018-2023 წწ.)



2023 წელს აჭარაში, კერძოდ ქალაქ ბათუმში, ფუნქციონირებდა 13 სამორინე. აღნიშნული სამორინეების მიერ ბათუმის ბიუჯეტში გადახდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 52.9. მილიონი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 50%-ით აღემატება.

ბათუმის ბიუჯეტში სამორინეებიდან მიღებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დინამიკა (2018-2023 წწ.)



ბათუმის ბიუჯეტში სამორინეებიდან მიღებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სტრუქტურა (2023 წ.)

2023 წლისათვის სამორინეებში სათამაშო მაგიდების რაოდენობა იყო 214, ხოლო სათამაშო აპარატებისა - 1 397.

სათამაშო მაგიდებისა და აპარატების რაოდენობა სამორინეებში (2018-2023 წწ.)



გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტისა, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ჩარიცხვა ხდება ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალურ ბიუჯეტში. 2023 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალურ ბიუჯეტში ჩარიცხულმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა შეადგინა 2.6 მლნ ლარი.

2023 წელს აჭარის ა.რ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში რეგიონში მოქმედი სამორინეების მიერ გადახდილმა საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 28.8 მილიონი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 38%-ით აღემატება.



2023 წელს აჭარაში მოქმედ სამორინეებში ვიზიტორების ჯამურმა რაოდენობამ 1.2 მლნ შეადგინა. ვიზიტორთა 90%-ს არარეზიდენტი ვიზიტორები წარმოადგენდნენ.



2023 წელს სამორინეებში დასაქმებული იყო 5 000-მდე ადამიანი.